ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №51

აბაშა, 2018 წლის 18 დეკემბერი

აბაშის მუნიციპალიტეტის ნორიოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მაცხოვრისკარის №1 ქუჩისათვის დანიელ თოფურიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე” ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის, ,,გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-12-მე-17 პუნქტების შესაბამისად და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის თანხმობის (2018 წლის 31 ივლისის სხდომის №11 ოქმიდან ამონაწერი) გათვალისწინებით, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის ნორიოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მაცხოვრისკარის №1 ქუჩას მიენიჭოს დანიელ თოფურიას სახელი.
2. აბრა წარწერით ,,დანიელ თოფურიას სახელობის ქუჩა“ დაიდგას აბაშის მუნიციპალიტეტის ნორიოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მაცხოვრისკარის №1 ქუჩის შემოსასვლელში.
3. ეს განკარგულება:

ა) რეაგირებისათვის გადაეგზავნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერს და ამ განკარგულების მიღებიდან ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება;

ბ) მიღებიდან 10 დღის ვადაში:

ბ.ა) გადაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

ბ.ბ) გამოქვეყნდეს ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,აბაშის მუნიციპალიტეტის ნორიოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მაცხოვრისკარის №1 ქუჩისათვის დანიელ თოფურიას სახელის მინიჭების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 22 ოქტომბრის №42 განკარგულება.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
6. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი

Abasha municipality

Digitally signed by Abasha municipality
DN: cn=Abasha municipality, 2.5.4.97=NTRGE-222448643, o=[illegible], c=GE
Date: 2018.12.18 11:53:45 +04'00'